პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბოლშევიკური კადრებისათვის

საკ. კ. პ. (ბ) თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის, რექტორატისა და პროფკომის ორგანო

კვირა 5 თებერვალი 1939 წ. № 3 (145)

ფასი 5 კაპ.

93 N 3241

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საკ. კ. პ. (ბ) ყველა ორგანიზაციის საყურადღებოდ

### საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) მორიგი XVIII ყრილობის გახსნა დანიშნულია 1939 წლის 10 მარტისათვის

**XVIII ყრილობის დღის წესრიგი:**

1. საანგარიშო მოხსენებები: საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა—მომხსენებელი ამხ. სტალინი, ცენტრალური სარევიზიო კომისიისა — მომხსენებელი ამხ. ვლადიმირსკი, საკ. კ. პ. (ბ) დელეგაციისა კომინტერნის აღმასკომში — მომხსენებელი ამხ. მანუილსკი.

2. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა—მომხსენებელი ამხ. მოლოტოვი.

3. ცვლილებანი საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში—მომხსენებელი ამხ. ჟდანოვი.

4. არჩევნები კომისიისა საკ. კ. პ. (ბ) პროგრამის შესაცვლელად.

5. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

**წარმომადგენლობის ნორმა და არჩევნების წესი:**

1) თითო დელეგატი გადამწყვეტი ხმით პარტიის ათას წევრზე;

2) თითო დელეგატი სათათბირო ხმით პარტიის წევრობის ორიათას კანდიდატზე;

3) არჩევნები ხდება დახურული (ფარული) კენჭისყრით საოლქო, სამხარეო პარტიულ კონფერენციებზე და ნაცკომპარტიების ყრილობებზე უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, უზბეკეთის პარტორგანიზაციებში ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები ხდება საოლქო პარტიულ კონფერენციებზე;

4) წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და შინსახკომის ერთეულების პარტიულ ორგანიზაციებში მყოფი კომუნისტები XVIII ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებს ირჩევენ დანარჩენ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად საოლქო, სამხარეო პარტკონფერენციებზე ან ნაცკომპარტიების ყრილობებზე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

**ი. სტალინი**

---

## ღირსეული შეხვედრა XVIII ყრილობას

29 იანვარს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში შესდგა მეცნიერ მუშაკთა, სტუდენტთა და თანამშრომელთა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 600 კაცამდე.

მიტინგზე მოხსენებით გამოვიდა უნივერსიტეტის რექტორი ამხ. დ. ყიფშიძე. მან მიტინგზე შეკრებილთ გააცნო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება საკ. კ. პ. (ბ) მორიგი XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მომხსენებელმა დამსწრეთა ყურადღება შეაჩერა იმ უდიდეს მსოფლიო მნიშვნელობის წარმატებებზე, რომელიც მოპოებულია 1934 წლიდან დღემდე პარტიის XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში ურყევად გატარების საფუძველზე. ამჟამად ჩვენი ამოცანაა—ამბობს მომხსენებელი — ავიღოთ კონკრეტული ვალდებულებანი და სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის დარგში ახალი წარმატებებით შევეგებოთ პარტიის XVIII ყრილობას—ეს იქნება საუკეთესო პირობა კიევის უნივერსიტეტთანაც შეჯიბრებაში ჩვენი გამარჯვებისათვის.

მიტინგზე დამსწრენი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სტალინური ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ.

სიტყვებით გამოვიდნენ პროფ. მეგრელიძე, სტუდენტი ნატროშვილი, დოც. ინწკირველი. მათ აიღეს ვალდებულებანი სასწავლო — საალმზრდელო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

მიტინგმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექვსი ათასიანი კოლექტივი ახალი წარმატებით შეეგებება პარტიის XVIII ყრილობას სასწავლო საალმზრდელო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მაღალ საფეხურზე აყვანისა და შრომის დისციპლინის კიდევ უფრო განმტკიცების საფუძველზე.

## საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

I.

### საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით პირველადი პარტორგანიზაციების კრებების, რაიონული, საქალაქო, სამხარეო პარტკონფერენციებისა და ნაცკომპარტიების ყრილობების ჩატარების შესახებ

1. 1939 წლის 1 თებერვლიდან 1 მარტამდე ჩატარდეს:

ა) დახურული კრებები პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა რაიონულ და საქალაქო პარტკონფერენციებზე გასაგზავნი დელეგატების ასარჩევად;

ბ) რაიონული და საქალაქო პარტკონფერენციები საოლქო, სამხარეო პარტკონფერენციებზე და საოლქო დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკათა ნაცკომპარტიების ყრილობებზე გასაგზავნი დელეგატების ასარჩევად;

გ) საოლქო, სამხარეო პარტკონფერენციები და საოლქო დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკათა ნაცკომპარტიების ყრილობები საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების ასარჩევად.

2. არჩევნები პარტიულ კონფერენციებზე გასაგზავნი დელეგატებისა, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატებისა ჩატარდეს დახურული (ფარული) კენჭისყრით.

3. საქალაქო პარტორგანიზაციებში, რომელთაც რაიონული დაყოფა აქვთ, საოლქო, სამხარეო პარტკონფერენციებზე და ნაცკომპარტიების ყრილობებზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები ჩატარდეს რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე.

4. პირველადი პარტორგანიზაციების კრებებზე, რაიონულ, საქალაქო, საოლქო, სამხარეო პარტკონფერენციებზე და ნაცკომპარტიების ყრილობებზე განხილულ იქნას თეზისები ამხ. მოლოტოვის მოხსენებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და თეზისები ამხ. ჟდანოვის მოხსენებისა საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

II.

### XVIII პარტიული ყრილობისათვის თეზისების განხილვის შესახებ

1. თეზისები ამხ. მოლოტოვის მოხსენებისა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა“ (ყრილობის დღის წესრიგის მე-2 პუნქტი) და თეზისები ამხ. ჟდანოვის მოხსენებისა—„ცვლილებანი საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში“ (ყრილობის დღის წესრიგის მე-3 პუნქტი) დაისვას პარტიულ კრებებზე და პრესაში განსახილველად.

2. „პრავდასთან“ გამოიცეს „სადისკუსიო ფურცელი“, რომელშიც დაიბეჭდოს კრიტიკული სტატიები, შესწორებანი და კონკრეტული წინადადებანი თეზისებისათვის.

„პრავდა“, 1939 წლის 1 თებერვალი.

---

ყველა პარტიულ ორგანიზაციაში ახლა იწყება ყრილობისათვის მზადება. ყრილობისათვის მზადების დღეები უნდა გახდნენ მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში ახალი საწარმოო წარმატებებისათვის საბრძოლველად მშრომელთა ძალების მობილიზაციის დღეებად. ეჭვი არ არის, რომ მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას შეხვდებიან ახალი საწარმოო აღმავლობით, ახალი გამარჯვებებით, ყრილობისადმი საჩუქრებით. 1939 წელი—ის წელი, რომელშიც პარტიის XVIII ყრილობა იკრიბება, უნდა გახდეს სოციალიზმის შემდგომ სახელოვან გამარჯვებათა წლად! ძლიერი და მონოლითური სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მტკიცედ შემჭიდროებული, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული, ხვდება ჩვენი პარტია თავის XVIII ყრილობას. ლენინ-სტალინის დროშით პარტიამ მიაღწია სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს. ლენინ-სტალინის დროშით მიჰყავს მას ჩვენი ხალხი წინ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

„პრავდა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა



სურათზე: სტუდენტები მეცადინეობენ უნივერსიტეტის სტუდენტთა სამკითხველოში

## ვსწავლობ გმირულ ისტორიას

საკ. კ. პ. (ბ) გმირული ისტორიის ღრმად შესწავლა ყველა ჩვენგანის გადაუდებელი ამოცანაა. ამჟამად არსებული ისტორიის სახელმძღვანელო მარტივად მოგვითხრობს სახელოვანი კომუნისტური პარტიის ბრძოლებისა და გამარჯვებების შესახებ.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ პრესაში გამოქვეყნებისთანავე დავიწყე მისი გაცნობა. წინასწარ ვკითხულობდი „პრავდის“ მეთაურს ყოველი თავის შესახებ, ხოლო შემდეგ ვიწყებდი უშუალოდ ისტორიის კითხვას.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ ცალკე წიგნად გამოვიდა თუ არა, მაშინვე შევუდექი მის საფუძვლიან შესწავლას. პირველი თავის შესწავლასთან დაკავშირებით წავიკითხე ლენინის უკვდავი შრომა „რანი არიან ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“.

გარდა ამისა სისტემატურად ვაგროვებ გაზეთებში გამოქვეყნებულ საკონსულტაციო მასალებს და ვიყენებ მას ცალკე თავების დამუშავების დროს.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსმა“ დიდი დახმარება გამიწია ჩემთვის ბუნდოვანი საკითხების გარკვევაში. სწორი წარმოდგენა არ მქონდა ხალხოსნებზე, არ ვერკვეოდი პლეხანოვის როლზე ხალხოსნების წინააღმდეგ ბრძოლაში. ახლა ეს ჩემთვის ნათელია.

ისტორიის მოკლე კურსის დამუშავებას სისტემატურად ვაწარმოებ. ყოველდღე მას საშუალოდ ერთნახევარ საათს ვანდომებ.

**ილია ბოლქვაძე**

## მეტი მუშაობაა საჭირო

მიმდინარე სასწავლო წელს ფილოლოგიურ ფაკულტეტის კომკავშირის ბიურომ კომკავშირის რიგებში მიიღო 250-მდე ახალგაზრდა. ბიურომ ყურადღება გაამახვილა, რომ ახლად მიღებულნი კომკავშირულ დავალებათა გარეშე არ დარჩენილიყვნენ და ამ მხრივ ერთგვარი მუშაობაც ჩაატარა, მაგრამ არასაკმარისად. ასე, მაგალითად, 250 ახლად მიღებულიდან დავალება მხოლოდ 150 კომკავშირელს აქვს. ბიუროს ამ მხრივ უსათუოდ მეტი მუშაობა უნდა ჩაეტარებია.

გადარჩევების დროს კომორგებად უმრავლესობა ახლად მიღებულები აირჩიეს. ეს ძალიან კარგია. ახალი კადრები უნდა დაწინაურდეს კომკავშირულ სამუშაოზე და მათ დახმარება უნდა გაუწიოთ; უნდა ვასწავლოთ თუ როგორ იმუშაონ, ამ მიზნით ბიურომ ჩაატარა კომორგების თათბირი და ) განუმარტა მუშაობის საკითხები.

ახლად მიღებულნი **ტრიფონ სამხარაძე** და **ვახტანგი გაბელია** აგიტატორებად არიან გამოყოფილი და სანიმუშოდ ასრულებენ ამ დავალებას. კომორგები **გრ. ჯამბუშანური** და **ივ. ბოგატოვი** კომკავშირულ მუშაობაში დიდ აქტივობას იჩენენ.

* * *

ამავე ფაკულტეტზე კომკავშირული ბილეთების შეცვლისათვის მზადებასთან დაკავშირებით მოავალი დეფექტები გამოირკვა. მაგალითად 720 კომკავშირელიდან 47 არა აქვს პირადი საქმე. ზოგი კომკავშირელი სათანადოდ არ უვლის კომკავშირულ ბილეთს. კომკავშირელ **კრუპენიკოვას** კომკავშირის საწევრო ბილეთი ისე აქვს ოდეკოლონით „დამშვენებული“, რომ გვარისა და სახელის ამოკითხვას ვერ შესძლებთ. კომკავშირულ ბილეთს თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეთ.

**რ. ივანიშვილი.**

## გარიცხეს კომკავშირიდან

გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ნიკოლოზ ალექსის-ძე გოგიაშვილი 27 იანვარს უნივერსიტეტის კლუბში მოწყობილ საღამოზე მოვიდა მთვრალი, ასტეხა ჩხუბი კონცერტის მსვლელობის დროს და როდესაც მას წესრიგისაკენ მოუწოდეს რამდენიმე კაცს შეურაცყოფაც კი მიაყენა.

ეს საკითხი გაარჩია კომკავშირის კომიტეტმა და გოგიაშვილი გარიცხა კომკავშირის რიგებიდან როგორც ხულიგანი.

* * *

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იგივე გოგიაშვილი გარიცხულია უნივერსიტეტიდან.

### პასუხი მკითხველთა შეკითხვებზე

## რა არის შოვინიზმი?

**შოვინიზმი**[1]—ეს არის ნაციონალური შუღლისა და სიძულვილის გაღვივება სხვა ხალხებისადმი, ეს არის ბურჟუაზიის პოლიტიკა, მიმართული სხვა ხალხების დევნისა, დამორჩილებისა და ჩაგვრისაკენ.

„შოვინისტი ეწოდება იმას, ვინც „სამშობლოს დაცვის“ ცნებით ჰფარავს „თავისი“ მმართველი კლასების ყაჩაღური ინტერესების დაცვას“ [2]).

იმპერიალიზმის დროს შოვინიზმი საშინელ ხასიათს ღებულობს. გამხეცებულ ფაშისტებს უნდათ იხსნან მომაკვდავი კაპიტალიზმი ომებით, მუშათა კლასისათვის ლაგამის ამოდებით და ყოველივე იმ პროგრესიულის მოსპობით, რაც კაცობრიობას შეუქმნია.

> „შოვინიზმი და ომის მზადება, როგორც საგარეო პოლიტიკის ძირითადი ელემენტები, მუშათა კლასის ალაგმვა და ტერორი საშინაო პოლიტიკის დარგში, როგორც აუცილებელი საშუალება მომავალი სამხედრო ფრონტების ზურგის გასამაგრებლად,— აი რით არიან გართული ამჟამად თანამედროვე იმპერიალისტური პოლიტიკოსები“ [3].

გერმანიის ფაშიზმმა შეჰქმნა ეგრეთწოდებული რასიული თეორია, რომელიც გერმანელ ერს აცხადებს ყველა ხალხზე გაბატონებულ ერად, ხოლო დანარჩენ ერებს—არასრულფასოვან ერებად, რომლებიც გაჩენილი არიან მორჩილებისათვის. ფაშისტებს სურთ ამ საზიზღარი, კაცთმოძულეობის თეორიით გაამართლონ სხვისი მიწა-წყლის ყაჩაღურად დაპყრობისა და ამ მიწა წყლის თავის კოლონიებად გადაქცევის თავიანთი მტაცებლური პოლიტიკა.

შოვინიზმმა აშკარად იჩინა თავი 1914—1918 წლების პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში, როდესაც ყველა მეომარი ქვეყნის ბურჟუაზია თავის მძარცველური მიზნების გასამართლებლად ნაციონალისტური შხამით სწამლავდა მასების შეგნებას. ყველა წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია ობორონცობის გზას დაადგა, ისინი ეხმარებოდნენ ბურჟუაზიას იმ მხრივ, რომ გაეღვივებინათ ხალხში შოვინიზმი.

რუსეთში ერთადერთი კლასი, რომელსაც ვერ გადასდეს შოვინიზმის სენი, იყო პროლეტარიატი, ბოლშევიკთა პარტიის, ლენინისა და სტალინის მიერ აღზრდილი ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური სოლიდარობის სულისკვეთებით.

პროლეტარიატი, მშრომელები, აღსავსენი არიან ნაციონალური სიამაყის გრძნობით, მაგრამ ამ ნაციონალურ სიამაყეს საერთო არაფერი აქვს ბურჟუაზიულ შოვინიზმთან.

პროლეტართა ნაციონალური სიამაყის გრძნობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ინტერნაციონალიზმის გრძნობასთან.

მაგალითად, როგორ არ იამაყოს გერმანიის დიდმა ხალხმა, რომელმაც მთელს მსოფლიოს მისცა კაცობრიობის ისეთი გენიოსები, როგორც მარქსი და ენგელსი? მაგრამ გერმანიის მშრომელთა ეს ნაციონალური სიამაყე ამავე დროს არის მთელი მსოფლიოს მშრომელთა სიამაყე.

როგორ არ იამაყოს დიდმა რუსმა ხალხმა, რომელიც ლენინ-სტალინის გენიალური მოძღვრების აკვანს წარმოადგენს? მაგრამ რუსი ხალხის ეს ნაციონალური სიამაყე ამავე დროს არის მთელი პროგრესიული კაცობრიობის სიამაყე და სიხარული.

ლენინი გვასწავლიდა:

> „ჩვენ აღსავსენი ვართ ნაციონალური სიამაყის გრძნობით, ვინაიდან ველიკოროსულმა **ნაციამაც** შექმნა რევოლუციური კლასი, **მანაც** დაამტკიცა, რომ მას შესწევს უნარი მისცეს კაცობრიობას თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დიადი ნიმუშები...“ [4])

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩაგვრისა და უუფლებობისაგან გაანთავისუფლა ყოფილი მეფის რუსეთის ყველა ხალხი.

სტალინური კონსტიტუციის მე-123 მუხლში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სსრ კავშირის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა და რასისა, ჩვენში ურყევ კანონს წარმოადგენს: „უფლების რაიმე პირდაპირი, ან არაპირდაპირი შეზღუდვა ან, პირიქით, მოქალაქეთა პირდაპირი, ან არაპირდაპირი უპირატესობის შემოღება მათი რასიული და ნაციონალური კუთვნილების მიხედვით, აგრეთვე რასიული ან ნაციონალური განკერძოებულობის, ან სიძულვილისა და ქედმაღლობის ყოველგვარი ქადაგება— ისჯება კანონით“.

სსრ კავშირში—გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში—აღმოფხვრილია თვით ნიადაგი შოვინიზმისათვის. სსრ კავშირი—ხალხთა სტალინური მეგობრობის დიადი ქვეყანაა.

სსრ კავშირის ხალხებმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეჰქმნეს ნამდვილი სამშობლო მშრომელებისათვის. საბჭოთა ხალხს მხურვალედ უყვარს ეს თავისი სოციალისტური სამშობლო და მზად არის გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ყველა იმას, ვინც შეეცდება ხელი აღმართოს ჩვენი სამშობლოს საზღვრების წინააღმდეგ.

სსრ კავშირის ხალხები, რომლებიც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით კომუნიზმს აშენებენ, აღსავსენი არიან ნაციონალური სიამაყის გრძნობით. მაგრამ ჩვენი ხალხის ნაციონალური სიამაყე უაღრესად ინტერნაციონალურია. საბჭოთა ხალხს ახსოვს, რომ იგი წარმოადგენს ყველა ქვეყნის მშრომელთა დამკვრელ ბრიგადას და რომ მისი მსოფლიო ისტორიული გამარჯვებანი მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა სიამაყე და სიხარულია.

**„სპუტნიკ აგიტატორა“ № 1, 1939 წ.**

---

[1]) სიტყვა „შოვინიზმი“ წარმოსდგება ფრანგული პიესის გმირის შოვენის სახელისაგან, რომელიც ბრმად და მონურად იხრიდა ქედს იმპერატორ ნაპოლეონ I-ის წინაშე.

[2]) ლ ე ნ ი ნ ი. თხზ. ტ. XXI, გვ. 99.

[3]) ი. ს ტ ა ლ ი ნ ი „ლენინიზმის საკითხები,“ გვ. 643 ქართ. გამოც.

[4]) ლ ე ნ ი ნ ი, თხზ ტ XVIII, გვ. 81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საშემოდგომო სემესტრის შედეგები

## წარმატებებია, მაგრამ არა საკმაო

შეიძლება ითქვას, რომ **ქიმიურმა ფაკულტეტმა** შედარებით კარგად დაასრულა საშემოდგომო სემესტრი. ყველა გათვალისწინებულ დისციპლინებში კურსი დასრულებულ იქნა.

სესიების შედეგად გამოირკვა ერთგვარი მიღწევები სტუდენტთა აკადემიური წარმატებების ზრდის საქმეში. 86 სტუდენტი ფრიადოსანია. საშუალო ნიშანი უდრის 4,2 ნაცვლად გასული წლის 4-ისა.

ნიშნების მხრივ საკმაოდ მაღალი შეფასება მიიღეს მეორე და მეოთხე კურსელებმა. სტუდენტებმა მიხეილ აკოპოვმა, მიხეილ უგულავამ, ტიგრან როსტომოვმა, ფორე ცისკარიშვილმა, ვალერიან წურწუმიამ, პავლე ჰავჰანიძემ სასესიო საგნები ფრიადზე ჩააბარეს.

მაგრამ ფაკულტეტზე არიან აკადემიურად ჩამორჩენილი სტუდენტებიც. მაგალითად ნინო ედიბერიძე და გიორგი კახიძე სამი საგნიდან მხოლოდ ერთ საგანში გავიდნენ გამოცდაზე და იქაც სუსტი შეფასება მიიღეს. 93 სტუდენტი 1—2 საგანში არ გამოცხადდა სესიაზე. გამოცდებზე დაიწერა 14 სუსტი. ყოველივე ეს დეკანატის არასაკმაო მუშაობაზე ლაპარაკობს.

ამჟამად დეკანატის ამოცანაა აღრიცხოს აკადემიურად ჩამორჩენილი სტუდენტები, გამოირკვიოს ჩამორჩენილობის მიზეზი და ყურადღების ცენტრში დააყენოს მათთან მუშაობა, რომ მათ უახლოეს დროში თავი დააღწიონ ჩამორჩენას.

ის გარემოება, რომ ამ დღეებში ქიმიურმა ფაკულტეტმა **სოცშეჯიბრებაში გამოიწვია კიევის უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტი** ავალებს ამ ფაკულტეტის მეცნიერ მუშაკებსა და სტუდენტობას მუშაობის უფრო მკვეთრად გაუმჯობესებას სასწავლო საალმზრდელო და კვლევითი მუშაობის დარგში.

ქ. ჯოხიძე

## ვიბრძვით პირველობისათვის

გასულ სასწავლო წელს აკადემიურ წარმატებათა მიხედვით **ისტორიულმა ფაკულტეტმა** პირველი ადგილი დაიკავა უნივერსიტეტში.

მიმდინარე სასწავლო წელს უფრო მეტ ამოცანების წინაშე ვდგევართ, **რადგან როგორც თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტი, ისე მისი ისტორიული ფაკულტეტი ჩაება კიევის უნივერსიტეტსა და მისი ისტორიულ ფაკულტეტთან შეჯიბრებაში.**

ჩვენ ვიბრძვით რათა პირველობა მოვიპოვოთ შეჯიბრებაში. ამ მიმართულებით არის წარმართული ფაკულტეტის მთელი მუშაობა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ პირველ სემესტრში გვქონდა რიგი ნაკლოვანებანი. მაგალითად უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილმა ვერ მოგვიგვარა აუდიტორიების საკითხი; ხშირად ფაკულტეტს მეზობელ ფაკულტეტებიდან უხდებოდა გაცვლის წესით აუდიტორიის გამონახვა, რაც ხელს უშლის ნორმალურ მუშაობას.

ადგილი ჰქონდა ლექციების გაცდენებს, რომელიც არ ანაზღაურებულა (მაგალითად პოლიტ ეკონომიაში საგნის ხელმძღვანელი **გ. მეგრელიშვილი**), გარდა ამისა ახალ ისტორიაში სესიები ისე ჩატარდა, რომ სტუდენტებს ვერ მოუსწრო დაბეჭდილმა პროგრამამ.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა მიუხედავად სესიები ძირითადად კარგად ჩავატარეთ. 450 სტუდენტზე დაიწერა 6·2 ფრიადი, 310 კარგი, 175 დამაკმაყოფილებელი და 24 სუსტი. ფრიადოსანია 113 კაცი, აკადემიური წარმატება საშუალო ნიშნით უდრის 4,37. გასულ წელთან შედარებით აკადემიურმა წარმატებამ იმატა.

გამოცდები ფრიადზე ჩააბარეს სტუდენტებმა არჩილ ებრალიძემ, სერგო მახარაძემ, ერასტი ჰოლოკავამ და სხვებმა.

სესიები საუკეთესოდ ჩაატარეს პროფ. **ს. ჯანაშიამ**, და პროფ. **ჩიქობავამ**, მაგრამ ეს არ ითქმის ლექტორ გ. მეგრელიშვილზე, რომელმაც გააჭიანურა გამოცდები და დროზე არ წარმოადგინა ნიშნები.

მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სესიებზე არ იყო სტუდენტთა ას პროცენტიანი გამოცხადება.

ისტორიული ფაკულტეტი ამ დღეებში განიხილავს სესიების შედეგებს და დასახავს ღონისძიებებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ა. კიკვიძე.
ისტორიული ფაკულტეტის დეკანი



**სურათზე:** ფრიადოსნები ზევიდან შალვა ჰანტურია—ეკონომიური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი. ქვევით მარჯვნიდან მარცხნივ შალვა ალანია—იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი და ამბროსი გავაშელი—ისტორიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი.

## იმატა ფრიადოსანთა რიცხვმა

**იურიდიულ ფაკულტეტზე** სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სასესიო საგნების კურსი დროზე იქნა წაკითხული.

სტუდენტობის მეტი ნაწილი კარგი მომზადებული მოვიდა სესიებზე. სესიები თავის დროზე და კარგად ჩაატარეს პროფ. **ტალახაძემ**, ლექტორებმა **ფურცხვანიძემ და ერემოვმა.**

ფრიადოსანთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა, გასულ წელს გვყავდა 34 ფრიადოსანი. ამჟამად გვყავს 42. კარგი მაჩვენებლები მოგვცეს და კვლავ ფრიადოსნობა შეინარჩუნეს სტუდენტებმა ალანიამ, აბაკელიამ, ნიჟარაძემ, შარუხიამ, შამუგიამ, ფონიამ, მანჯგალაძემ, ნესელიძემ და სხვ.

მიუხედავად ამისა აკადემიურ წარმატებათა საერთო მაჩვენებელი ფაკულტეტზე მაინც დაბალია—3,9 %. ეს იმით აიხსნება, რომ ზოგიერთი სტუდენტი სესიაზე მოუმზადებელი გამოცხადდა. ესენია კაპარავა ტატიანა, შოკოვანი ადილარ, მამასახლისოვი ნერსეზ, გორგოზიანი იდა და სხვა. აგრეთვე პირველ კურსზე ჩარიცხულ ზოგიერთ ფრიადოსნებმა ვერ მოგვცეს კარგი შედეგები, პირიქით, შოთა ჯალაღანიამ სუსტიც კი მიიღო.

სესიებზე სრულებით არ გამოცხადებულან ყორანაშვილი ვლადიმერი და ტოროშელიძე ლუარსაბი, რისთვისაც ისინი მექანიკურად გაირიცხებიან უნივერსიტეტიდან.

სესიების მსვლელობისას ადგილი ჰქონდა ზოგიერთ სტუდენტის ცოდნის არასწორად შეფასებას სამართლის წყობილებასა და დიამატის საგანში. ამაზე დეკანატმა დაუყონებლივ მიიღო ზომები.

მეორე სემესტრისათვის უკვე შედგენილია სასწავლო ცხრილი და ძირითადად უზრუნველყოფილი ვართ ლექტორებით ყველა დისციპლინებში.

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მეორე სემესტრში გამოვასწოროთ პირველ სემესტრის დანაკლისი და ახალი წარმატება მოვიპოვოთ. ეს კი ერთერთი **პირობა იქნება კიევის უნივერსიტეტთან შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.**

ნ ლომსაძე
იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

## დაბალი მაჩვენებლებით

გეოგრაფ-გეოლოგიურ ფაკულტეტში საშემოდგომო სემესტრის სესიების შედეგების განხილვამ დაგვანახვა, რომ სტუდენტთა აკადემიური წარმატება სამარცხვინოდ ჩამორჩება სხვა ფაკულტეტებს.

432 სტუდენტიდან ფრიადოსანია მხოლოდ 35. სესიების პერიოდში დაიწერა 402 ფრიადი, 315 კარგი, 457 დამაკმაყოფილებელი და 84 სუსტი.

სტუდენტთა აკადემიური წარმატების მხრივ ამ ფაკულტეტს გაცილებით უფრო დაბალი მაჩვენებლები აქვს ვიდრე გასულ წელს, აკადემიურ წარმატების საშუალო ნიშანი გასულ წლის მეორე სემესტრში უდრიდა 4,02. წელს კი საშემოდგომო სემესტრში 3,8 უდრის.

ფაკულტეტზე არა საკმარისადაა გაშლილი სოცშეჯიბრება. სუსტად მუშაობენ ფრიადოსანთა და კარგოსანთა რიგების ზრდისათვის.

ეს ფაქტები ლაპარაკობენ ფაკულტეტის ხელმძღვანელთა სუსტ მუშაობაზე. ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ და სტუდენტობამ აქედან სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ.

საჭიროა აქედანვე დავსახოთ ღონისძიებანი, იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომელსაც პირველ სემესტრში ჰქონდა ადგილი.

## შეჯიბრებაში უნდა გავიმარჯვოთ

დ. ყიფშიძე
თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება კიევის უნივერსიტეტთან გააფორმა 1938 წლის 15 დეკემბერს. ეს იყო თითქმის მიწურული პირველი სემესტრისა. მიუხედავად ამისა პირველი სემესტრის შედეგები უნდა განვიხილოთ სოცშეჯიბრების ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების თვალსაზრისით. ამ მხრივ პირველი სემესტრის შედეგების შეჯამებამ ნათლად გამოაშკარავა ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი.

ჩვენ მიზნათ დავისახეთ სტუდენტობისა და პედ-პერსონალის ასი პროცენტით ჩაბმა ინდივიდუალურ შეჯიბრებაში, მაგრამ ეს მიზანი მთლიანად ვერ არის განხორციელებული. სტუდენტობის 2 და პედ-პერსონალის 1 პროცენტი დღემდე ინდივიდუალურ შეჯიბრების გარეშეა.

1938-39 სასწავლო წლის პირველ სემესტრის შედეგებმა წინა სემესტრებთან შედარებით გვიჩვენა სტუდენტთა მეტი აქტიობა და მოსწრებულობა საგნების მომზადებაში. გაიზარდა ფრიადოსანთა და დამკვრელთა რიგები. მაგრამ ამასთან ერთად გვაქვს სუსტი მხარეც ის, რომ სტუდენტობის საგრძნობი ნაწილი 1130 კაცი, რაც შეადგენს სტუდენტთა მთლიანი რიცხვის თითქმის 27 პროცენტს სესიებზე არ გამოცხადებულა.

სესიებზე სტუდენტთა გამოუცხადებლობის საქმეში ყველაზე ცუდი მდგომარეობაა ფიზიკო-მათემატიკურს, ბიოლოგიურს, ეკონომიურსა და ქიმიურ ფაკულტეტზე. ეს უპირველეს ყოვლისა აღნიშნულ ფაკულტეტების დეკანებისა და სათანადო კათედრების ცუდი მუშაობის შედეგია.

უნივერსიტეტის სინამდვილეში ადგილი აქვს უდისციპლინობას, როგორც სტუდენტთა ისე პედპერსონალის მხრივ. ამას ამოწმებს ის ფაქტი, რომ პირველ სემესტრში მასწავლებელთა გაცდენები უდრის 3,87 პროცენტს, ხოლო სტუდენტთა 3,6. ამის შედეგად სასწავლო გეგმაც მთლიანად ვერ არის შესრულებული. პირველ სემესტრის სასწავლო გეგმის შესრულება უდრის 97,85 პროცენტს.

მეორე სემესტრის პირველ დღეებიდან ძირშივე უნდა აღმოვფხვრათ ყველა ის ნაკლოვანებანი, რასაც ადგილი ჰქონდა სამოსწავლო წლის პირველ ნახევარში. ჩვენი ამოცანაა განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, არ დაუშვათ არც ერთი გაცდენა პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ და მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობა—ეს კი საუკეთესო პირობა იქნება შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უნივერსიტეტში წერა-კითხვის უცოდინარნი?(!)

უნივერსიტეტში ათეულობით არიან წერაკითხვის უცოდინარნი და მცირემცოდნენი დამლაგებლებსა და დარაჯებს შორის, მაგრამ ზუსტად მაინც არავინ იცის თუ რამდენია ისინი. წერაკითხვის არამცოდნეთა შორის სწავლებაში ყველა არ არის ჩაბმული.

მეცადინეობა ტარდება უპროგრამოთ, ყოველგვარი აღრიცხვისა და კონტროლის გარეშე, არ არის დაცული სამეცადინო დრო და ა. შ. ამის შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე თვითდინებაზეა მინდობილი.

ასეთმა უყურადღებობამ კი გამოიწვია სწავლებაში ჩაბმულთა რიცხვის შემცირება. მაგალითად ჯგუფში, სადაც ასწავლის მასწავლებელი დესპინე არუშიძე, 13 კაციდან მხოლოდ 4 დარჩა. უკეთესი მდგომარეობა არც სხვა ჯგუფებშია.

**ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ადგილკომი უგულგულოდ ეკიდება. არც ხალეპუტატო ჯგუფი იწუხებს თავს**

ამ მდგომარეობის გამოსწორება მოითხოვს დაჩქარებით მოხდეს წერაკითხვის უცოდინარებისა და მცირე მცოდნეთა ხელახალი ზუსტი აღრიცხვა, ჩაბმულ იქნან ისინი სწავლებაში, გამოიყოს მათთვის კვალიფიციური მასწავლებლები და დაწესდეს კონტროლი.

## ყურადღება სტუდენტთა საცხოვრებელს

**სტუდენტთა ქალაქის** მეოთხე კორპუსში ძალზე უსუფთაობაა. გარდა ამისა სტუდენტებს საკმაო რაოდენობით არა აქვთ სკამები. მოუგვარებელია გათბობა და სხვა. მეოთხე ოთახში ცხოვრობს 7 სტუდენტი, აქვთ მხოლოდ სამი სკამი და ისიც დამტვრეული. ამავე ოთახში დაზიანებულია ორთქლის ღუმელი, საიდანაც წყალი გამოდის, რის გამო იატაკი დანესტიანებულია. ამის შესახებ სტუდენტებმა არაერთხელ მიმართეს კომენდატ **დვალიშვილს**, მაგრამ პასუხად დაპირება მიიღეს და მდგომარეობა დღესაც უცვლელია.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს კორპუსის წითელი კუთხე (გამგე ამხ. შულლიაშვილი), რის შედეგად სუსტია წითელ კუთხესთან არსებული თვითმოქმედი წრეების მუშაობა.

**დ. უკლება.**

## ჭადრაკი

30 იანვარს უნივერსიტეტის ფიზდარბაზში სტუდენტთა არდადეგებთან დაკავშირებით საქართველოს ჩემპიონმა ჭადრაკში ამხ. **ებრალიძემ** ჩაატარა სტუდენტებთან ერთდროული სეანსი 18 დაფაზე.

შედეგები ასეთია: ებრალიძემ მოიგო 14, წააგო ორი პარტია იარალოვთან და თოხაძესთან, ფრედ დაამთავრა ორი პარტია ქსენოფონტოვთან და ბრეგვაძესთან.

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტმა **იარალოვმა** სიზუსტით და კომბინაციით გაითამაშა პარტია, რის შედეგად ყველაზე პირველად დაამთავრა პარტია მოგებით.

**ი. ცანავა.**



**სურათზე: სასულე ორკესტრის წრე ხეხნიაშვილის ხელმძღვანელობით**

## გმირთა მოწოდების საპასუხოდ

1 თებერვალს უნივერსიტეტის კლუბში კომკავშირის კომიტეტისა და სპორტსაზოგადოება „მეცნიერებას“ ინიციატივით მოეწყო საღამო მეცნიერ მუშაკთა, სტუდენტთა და თანამშრომელთა მონაწილეობით, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის გმირების ამხ. სეროვის, მიშლაკის და სხვათა მოწოდების—„მოუმზადოთ სამშობლოს ათასობით თავდაცვითი საჩუქრები“—საპასუხოდ.

საღამოს ესწრებოდნენ სტუმრები № სამხედრო ნაწილიდან.

საღამოს მონაწილეთ, გმირთა მოწოდება გააცნო უნივერსიტეტის სპორტსაზოგადოება „მეცნიერებას“ თავმჯდომარემ ორდენოსანმა ამხ. **დ. იოხელიანმა**.

უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციის სახელით ამხ. **კახრაძემ** ილაპარაკა იმ ვალდებულებებზე, რომელიც უნივერსიტეტის კოლექტივმა იკისრა გმირთა მოწოდების საპასუხოდ თავდაცვითი მუშაობის გაშლის საქმეში.

მთელი დარბაზი ოვაციებით და მხურვალე ოვაციით შეხვდა საბჭოთა კავშირის გმირის, ორდენოსანი მფრინავის ამხ. **მაშკოვსკის** დარბაზში შემოსვლას.

ამხ. მაშკოვსკიმ წარმოსთქვა ბრწყინვალე მისასალმებელი სიტყვა. თავის სიტყვაში იგი შეჩერდა საბჭოთა ავიაციის უდიდეს მიღწევებზე და გამარჯვებებზე.

ამხანაგ მაშკოვსკის სიტყვა მხურვალე ოვაციამ დაჰფარა. მას მიართვეს თაიგული.

დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობდნენ ორდენოსანი მსახიობები: **ხარაძე, ინაშვილი, სალარაძე, ჯაფარიძე** და სხვები. საღამომ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე.

## სტუდენტთა ძალებით

საზამთრო არდადეგების პირველ დღეს, 25 იანვარს უნივერსიტეტის კლუბში მოეწყო სტუდენტთა თვითმოქმედი წრეების საღამო, რომელმაც ნათლად დაგვანახა თვითმოქმედ წრეთა ნაყოფიერი მუშაობის შედეგი.

მაყურებლებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ცეკვების შემსრულებელმა წრემ **ჯ. ბაგრატიონის** ხელმძღვანელობით. შესრულებულიდან გამოირჩეოდა ოსური მასიური ცეკვა, მთიულურ-ქისტური მასიური, ლეკური **არჩვაძისა** და **კაპანაძის** მონაწილეობით.

კარგად წარმოსდგა მაყურებლების წინაშე სასულე ორკესტრის წრე (ხელმძღვანელი **გ. ხეხნიაშვილი**), რომელმაც უნაკლოდ შეასრულა მერბერის მუსიკა „უვერტურა არქიმედი“, „არაბული ქორწილი“, „შოთა რუსთაველი“.

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია იურიდიული ფაკულტეტის მეფანდურეთა ანსამბლის გამოსვლამ **მესხიძის** ხელმძღვანელობით.

საუცხოვო იყო მეჩონგურეთა ანსამბლის პირველი გამოსვლა ორდენოსან **აქვსენტი მეგრელიძის** ხელმძღვანელობით. გამოცდილ ლოტბარ მეგრელიძის ხელმძღვანელობა ამ ანსამბლს შესამჩნევად დაეტყო. წინეთ, ანსამბლი ხშირად იცვლიდა ხელმძღვანელებს და ოდნავ ვერ აკმაყოფილებდა მაყურებელთა გაზრდილ მოთხოვნილებას.

ანსამბლმა საუცხოოდ შეასრულა „სიმღერა ბელადზე“, „სულიკო“, „სისატურა“, „ციცინათელა“ და სხვა.

**ა. მახარაშვილი.**

## შრომის დისციპლინის დარღვევისათვის

უნივერსიტეტში კიდევ აქვს ადგილი თანამშრომელთა მიერ შრომის დისციპლინის დარღვევას. გაცდენები, დაგვიანება, ნაადრევად წასვლა ხშირი შემთხვევაა.

1 საათით სამუშაოზე დაგვიანებისათვის რექტორის ბრძანებით სამუშაოდან მოხსნილია **მარიამ შანიძე-მაისურაძისა.** მასვე წინადადება მიეცა 10 დღეში გაანთავისუფლოს უნივერსიტეტის მიერ მიცემული ბინა.

სამუშაოზე 1 საათით დაგვიანებისათვის აგრეთვე მოხსნეს **მარიამ გაბრიელაშვილი** და **ხედრაკ ტერ-გრიგორიანი**, ხოლო გაცდენისა და თვითნებურად სამუშაოს მიტოვებისათვის **სოფიო ვეშაგური** და **ანნა სულაბერიძე**.

ფიზიოლოგიური კაბინეტის უფროსმა ლაბორანტმა **სერგო სიმონის-ძე ტარულოვმა** 2 დღე უმიზეზოდ გააცდინა და წარმოადგინა ყალბი ბიულეტენი რისთვისაც მოხსნილი იქნა სამუშაოდან.

ბრძანებით საყვედური და გაფრთხილება გამოეცხადათ **მიხეილ ნამიჩეიშვილს** და **დიმიტრი ხესიაშვილს** სამუშაოზე 5—10 წუთი დაგვიანებისათვის.

## ექსკურსია ქალაქ გორში

ამა წლის 18 იანვარს, თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის მეცნიერ მუშაკებმა თავიანთი ოჯახის წევრებთან ერთად მოაწყვეს ექსკურსია ქალაქ გორში დიდი ბელადის—ამხანაგ **სტალინის** სახლის დასათვალიერებლად.

ექსკურსანტები გზაში ენტუზიაზმით და ხალისით მიისწრაფოდნენ გორისაკენ. გორის სადგურიდან ორგანიზებულად გავეშურეთ იმ სახლისაკენ, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა მსოფლიოს მშრომელთა საყვარელმა ბელადმა, მასწავლებელმა და მეგობარმა დიდმა სტალინმა.

გულდასმით დავათვალიერეთ ბელადის სახლი, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე.

**თ. ჭაია.**

## გამოვასწოროთ ნაკლოვანება

უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო წელს ნაწილობრივ უმჯობესდება ფიზკულტურული სწავლება. გასულ წელს არ იყო მტკიცე ცხრილი, იყო შემთხვევები რამდენიმე ჯგუფის სამეცადინოთ გაერთიანებისა, რაც დაბლა სწევდა მეცადინეობის ხარისხს.

წელს, ეს მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა. ჩატარებულია სტუდენტთა სამედიცინო გასინჯვა და ჯგუფებად დაყოფა, სტუდენტები უზრუნველყოფილია პროგრამებით და მეცადინეობა უმეტეს ჯგუფებში ნორმალურად მიმდინარეობს. ფიზკულტურის მასწავლებლებმა ენერგიულად მოკიდეს ხელი **მშთ** ნორმებზე სტუდენტთა მომზადების საქმეს, რის შედეგად გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. მაგრამ მუშაობის ერთგვარ გაუმჯობესებასთან ერთად ჯერ კიდევ რიგი არსებითი ნაკლოვანებანი გვაქვს. ლიტერატურულ ფაკულტეტიდან რამდენიმე ჯგუფი დარჩენილია სამეცადინო ცხრილის გარეშე და მათთან არ ტარდება მეცადინეობა. კიდევ არის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ფაკულტეტები ერთიანდებიან მეცადინეობისას, საკმარისად არ არის დარბაზი და აუდიტორიები. მათემატიკური და ისტორიული ფაკულტეტების დეკანატები სუსტად ებრძვიან სტუდენტთა მიერ ფიზკულტურის გაკვეთილების მასობრივ გაცდენებს.

**გ. ბერიძე.**

## ყურადღება!

28 თებერვალს დღის 3 საათზე გაზეთ „ბოლშევიკური კადრებისათვის“ რედაქცია იწვევს საფაკულტეტო პარტორგების, კედლის გაზეთების რედაქტორებისა და რედკოლეგიათა წევრების თათბირს.

**დღის წესრიგი:** საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით კედლის გაზეთის ამოცანები.

თათბირი შესდგება რედაქციის ბინაში.

**პასუხისმგებელი რედაქტორი**

**გრ. ხურცილავა**

თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლითოგრაფია. მარის ქ. № 1. ტირაჟი 3.000 მთავლიტის რწმ. № ა—1935.